



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1037
25/05/2018

ქალაქი ბათუმი

1037-05-4-201805251646



ტარიელ ნაკაშიძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის I რანგის ხელმძღვანელზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 15 სამუშაო დღის მიცემისა და მერაბ გვიანიძეზე სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-3-ე პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 25 მაისის №1497-05 განცხადების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. ტარიელ ნაკაშიძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის I რანგის ხელმძღვანელს მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 15 სამუშაო დღე, 2018 წლის 28 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

2. მერაბ გვიანიძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საბიუჯეტო განყოფილების II რანგის უფროსს დაეკისროს ამავე სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შესრულება, ამ თანამდებობაზე მომუშავე ტარიელ ნაკაშიძის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 28 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის ანაზღაურება (ავანსის სახით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა